


შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

რისკების მართვის პროცედურა

Risk Management Guide

წინასიტყვაობა

1. **შემუშავებულია** – ხარისხის მართვის სისტემის მენეჯერის რუსუდან დიასამიძის მიერ;
2. **დამტკიცებულია** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2019 წლის 03 აპრილის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N08);
3. **მოქმედებაშია** – დამტკიცების დღიდან;
4. **პერიოდული შემოწმება** – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. **ცვლილებები** – ცვლილებათა შეტანა წარმოებს არსებული პროცედურის შედეგების ან ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებისას, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა არსებული პროცედურა.




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

რისკების მართვის პროცედურა

Risk Management Guide

შინაარსი

1. გავრცელების სფერო	5
2. ნორმატიული მითითებები	5
3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები	5
4. რისკის მენეჯმენტის პროცესი	6
5. რისკების არეალის განსაზღვრა	7
6. რისკების იდენტიფიცირების ანგარიშებითი დოკუმენტაცია	8
7. რისკების შეფასება	8
8. რისკების შეფასების ანგარიშგება / გაფორმება	9
9. რისკის დონის განსაზღვრა	9
10. მნიშვნელოვანი რისკების დოკუმენტირება / ანგარიშგება	9
11. რისკის შემცირება	10
12. რისკების კომუნიკაცია და მონიტორინგი	11
13. უმაღლეს განატლებაში ზოგადად ნაპოვნი რისკები	11
14. კონფიდენციალურობა	12
დანართი 1. რისკების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების გეგმა	13
დანართი 2. ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა	14
15. პერიოდული შემოწმების ფურცელი	15
16. პერსონალის პროცედურასთან გაცნობის ფურცელი	16
17. შეთანხმების ფურცელი	17



რისკების მართვის პროცედურა

Risk Management Guide

1. გავრცელების სფერო

- 1.1. წინამდებარე პროცედურა განსაზღვრავს შპს 'ბუსსს ანრიში რისკების მართვის პროცესის პროცედურას.
- 1.2. წინამდებარე პროცედურა შემუშავებულია ISO 9001:2015 6.1 ქვეთავის მოტხოვნათა გათვალისწინებით.
- 1.3. პროცედურა ითვლება ნორმატიულ დოკუმენტად შპს 'ბუსსს ანრის მთელი პერონალისთვის;
- 1.4. პროცედურის ეგზემპლიარები ინახება:
 1. ორიგინალი:
 - შპს 'ბუსსს ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურში
 2. საკონტროლო ეგზემპლიარი (რომელის ხელმისაწვდომია PDF ფორმატში):
 - ბიბლიოთეკაში;
 - შპს ბუსსს ანრის შიდა ქსელში;
 - შპს ბუსსს ანრის ვებ-გვერდზე
- 1.5. საკონტროლო ეგზემპლართა მომზადებასა და დაგზავნას ახდენს შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახური.


2. ნორმატიული მითითებები

- 2.1. არსებული პროცედურის მომზადებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:
 1. სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
 2. სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
 3. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
 4. საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“
 5. უსდ-ს და პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტები
 6. საქართველოს კანონი „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“
 7. კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ
 8. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N3 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ
 9. ნდ №2-020101 შპს ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო
 10. ნდ №2-0201-02-„დოკუმენტების და მონაცემების მართვის პროცესის პროცედურა“.

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

პროცედურაში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები:

1. **ნორმატიული დოკუმენტი** - წესების დამდგენი დოკუმენტი, საერთო პრინციპები ან დახასიათებები, რომლებიც ეხება საქმიანობის სხვადასხვა სახეებს ან მათ რეზულტატებს.
შენიშვნა: ტერმინი „ნორმატიული დოკუმენტი“ გვევლინება ტერმინად, რომელიც მოიცავს ისეთ მნიშვნელობებს, როგორცაა სტანდარტები, ტექნიკური მომსახურების დოკუმენტები და რეგლამენტები.
2. **პროცედურა** – არის ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც შემუშავებულია ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელობის მიერ, რაიმე პროცესის შესასრულებლად გარკვეულ ქმედებათა რიგითობის დასადგენად.
3. **ცვლილება** – მოდიფიკაცია; ნორმატიულ დოკუმენტში რაიმეს ფრაგმენტის/ნაწილის დამატება ან გამოკლება.
4. **ვერსია** – ნორმატიული დოკუმენტის ახალი ბეჭვდითი გამოცემა, რომელიც მოიცავს ცვლილებებს.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

რისკების მართვის პროცედურა

Risk Management Guide


5. **დოკუმენტის გადახედვა** – ნორმატიულ დოკუმენტში ყველა აუცილებელი ცვლილებების შეტანა.
6. **დოკუმენტის ახალი გამოცემა** – ნორმატიული დოკუმენტის ახალი ბეჭდვითი გამოცემა, რომელიც არ შეიცავს ცვლილებებს.
7. **დოკუმენტის ორიგინალი** – დოკუმენტის ეგზემპლარი, რომელსაც გააჩნია განყოფილების უფროსის ხელმოწერა და შეიცავს აგრეთვე შპს "ბუსსს ანრი"-ს ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულ რეკვიზიტებს (ბეჭედს, ხელმოწერას, დამტკიცების თარიღს).
8. **აღრიცხული ეგზემპლარი** – დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია გრიფი „აღრიცხული ეგზემპლარი“
9. **დოკუმენტის საკონტროლო ეგზემპლარი** – განსაზღვრული ქვედანაყოფის, აღრიცხული ეგზემპლარი, რომელსაც გააჩნია გრიფი „საკონტროლო ეგზემპლარი“ და შეიცავს ყველა არსებულ ცვლილებას.

შემოკლებები:

1. **შპს ბუსსს ანრი (სასწავლებელი)** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი;
2. **საზღვაო სააგენტო** – სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო
3. **IMO** – საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია;
4. **ISO** – სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
5. **ხმს** – ხარისხის მართვის სისტემა;
6. **ნდ** – ნორმატიული დოკუმენტი;

4. რისკის მენეჯმენტის პროცესი

4.1 რისკების მენეჯმენტის პროცესი შედგება 4 საფეხურისაგან:



საფეხური 1 - რისკების იდენტიფიცირება / Risk Identification


საფეხური 2 - რისკების შეფასება / Risk Assessment

საფეხური 3 - რისკების შემცირება / Risk Mitigation

საფეხური 4 - რისკების კომუნიკაცია და მონიტორინგი / Risk Communication & Monitoring

4.2 რისკების მენეჯმენტი (მართვა) წარმოადგენს რისკების იდენტიფიცირების, შეფასების და მათი გავლენის შემცირების/თავიდან აცილების მართვად პროცესს, რომელიც ემსახურება დაგეგმილი პროცესების მიმდინარეობის გამართულ ფუნქციონირებას, ინფორმირებას და შესაბამისი ეფექტური საშუალებების / ხერხების გამოყენებას მართვის პროცესში, როგორცაა რისკების რუქები, რაოდენობრივი მახასიათებლები - კრიტერიუმები, თვითშეფასებები და ა.შ. რისკების მენეჯმენტი წარმოადგენს მრავალწახნაგოვან პროცესს, რომელიც შემდეგი მდგენელებისაგან შედგება:

- ✓ მრავალფუნქციური ჯგუფების ჩამოყალიბება რისკების იდენტიფიცირების მიზნით;
- ✓ პრიორიტეტული რისკების იდენტიფიცირება;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

რისკების მართვის პროცედურა

Risk Management Guide

- ✓ პრიორიტეტულ რისკების შორის საგანგებო რისკების გამოყოფა, რომლებიც დაუყოვნებლივ ჩარევას მოითხოვენ;
- ✓ რისკების მართვის გეგმის შემუშავება;
- ✓ რისკების ყოველწლიური მონიტორინგი და პრიორიტეტების გადაფასება;
- ✓ პროცესების ინტეგრირება

4.3 რისკების ნაირსახეობები


შპს ბუსსს ანრიში, როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია რისკების 5 ტიპი:

1. **შესაბამისობის რისკი:** რისკი იმისა რომ სასწავლებლის მიერ არ იქნება შესრულებული გარე მარეგულირებელი საკანონდებლო მოთხოვნები (ნაციონალური კანონები, დარგობრივი რეგულაციები და საგანმანათლებლო სტანდარტები);
2. **ფინანსური რისკი:** ფინანსირების წყაროს დაკარგვის რისკი;
3. **ოპერირების რისკი:** ექსპლუატაციის /ფუნქციონირების რისკები, რომელიც გავლენას ახდენენ ყოველდღიური მართვის პროცესზე;
4. **სტრატეგიული რისკი** - რისკი დაკავშირებულია სასწავლებლის შესაძლებლობებთან მიაღწიოს დასახულ მიზნებს;
5. **რეპუტაციის რისკი** - რისკი, რომელიც უკავშირდება სასწავლებლის რეპუტაციის შელახვას

5. რისკების არეალის განსაზღვრა

რისკების მართვის პროცესისთვის განსაზღვრულია შემდეგი ფუნქციური არეალი:

1. **აკადემიური საქმიანობა** - აკადემიური საქმიანობის მხარდჭერა, საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა;
2. **შენობა - ნაგებობები** - ზედამხედველობა, მომსახურეობა, სარემონტო სამუშაოები და განახლება, დაწესებულების ოპერირების პროცესში გარემოდაცვითი, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პროცედურების მოთხოვნათა შესრულება. დამხმარე ნაგებობებისა და მოედნების კონტროლი და ზედამხედველობა, კომუნალური აღჭურვილობების მომსახურება;
3. **საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველყოფა** - ბიზნესის/საგანმანათლებლო საქმიანობის უწყვეტობა ნიშნავს საქმიანობის მიმდინარეობის სისტემატიურობას/ყოველდღიურობას, თანმიმდევრული ღონისძიებების უზრუნველყოფას, მომსახურეობის დონის შენარჩუნებას. საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად სავალდებულოა სასწავლებლის მჭიდრო კავშირები მომხმარებელთან (სტუდენტები, მსმენელები), მომწოდებელთან, მარეგულირებელთან (განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი, განათლების და მეცნიერების სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო);
4. **კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება** - კომპიუტერებისა და სატელეკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება ინფორმაციის მიღების, შენახვის და გადაცემის მიზნით;
5. **სამუშაო გარემოს პირობები (ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება)** - გარემოს, სამუშაო პირობებისა და ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება სასწავლო კორპუსებში, დამხმარე ნაგებობებში, ლაბორატორიებსა და სახელოსნოებში გამომდინარეა სასწავლებლის საქმიანობის პოლიტიკიდან და ასევე მოიცავს საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვას, უსაფრთხოებას სასწავლო ლაბორატორიებში და სასწავლო საამქროებში, სახელოსნოებში;
6. **საბიუჯეტო და საფინანსო საკითხები** - საზღვაო აკადემიაში საბუღალტრო და ფინანსური სისტემა ფუნქციონირებს საფინანსო-ეკონომიური დეპარტამენტის დებულების და



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

რისკების მართვის პროცედურა

Risk Management Guide

ნაციონალური რეგულაციების თანახმად. ფინანსების ბრუნვა რეგულირდება საქართველოს ხაზინით;

7. **ადამიანური რესურსები** - სამტატოს კომპლექტაცია, ოპერირება, ორგანიზაცია, სამსახურში აყვანა, პერსონალის მიერ შესრულებული საქმიანობის მენეჯმენტი, ორგანიზაციის განვითარება, ადმინისტრირება და მომზადება/გადამზადება;
8. **საზოგადოებრივი უსაფრთხოება** - გულისხმობს საზღვაო აკადემიის უსაფრთხოების პრევენციას და დაცვის უზრუნველყოფას საფრთხეებისაგან, საგანგებო მოვლენებისაგან და ინციდენტებისაგან, რამაც შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს აკადემიის ფუნქციონირებას;
9. **სტუდენტთა მომსახურება** - სტუდენტების პროფესიული ზრდისა და განვითარების მიზნით საზღვაო აკადემიაში ფუნქციონირებს სტუდენტების მხარდაჭერის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების მომსახურებას, მათი ყველა წამოწყების მხარდაჭერას, პრობლემების მართვას. სამსახური ზრუნავს განვითარების პროგრამების შემუშავებაზე, მათ შორის, სპორტული ღონისძიებების ორგანიზაციაზე, ფინანსურ მხარდაჭერაზე, კარიერის დაგეგმვა-განვითარებაზე და გაცვლით პროგრამების შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობის უზრუნველყოფასა და საზღვარგარეთ სწავლის პროცესის ორგანიზების ხელშეწყობაზე.

6. რისკების იდენტიფიცირების ანგარიშგებითი დოკუმენტაცია

6.1 რისკების იდენტიფიცირების ანგარიშგებითი დოკუმენტაცია


- ✓ მიზანი: სპეციფიური რისკების იდენტიფიცირება ფართო არეალში
- ✓ ამოცანა: საგნობრივი რისკების არეალის აღმოჩენა და რისკების იდენტიფიცირება ფართო არეალში

7. რისკების შეფასება

7.1 რისკების შეფასების მიზანია რისკების ჩამოყალიბება პრიორიტეტებად, რაც გულისხმობს რისკების ალბათობის და საფრთხის პოტენციულ ზეგავლენას პროცესებზე. რისკების შეფასების პროცესის დასრულებისათვის უნდა გაიწეროს ვარაუდის გასაზომად გამოყენებული მეთოდების ჩამონათვალი და მათი გავლენა იდენტიფიცირებულ რისკზე.

7.2 ალბათობის საზომი

№	რაჟირება	ალბათობის საზომი
		ალბათობა (არ სიხშირე) ითვლება სკალით 1 დან -5 მდე
1	იშვიათობა	მოვლენას ადგილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში (მაგ: 10 წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში)
2	ნაკლებშესაძლო	ძალიან მცირეა მოვლენის მოხდენის ალბათობა (მაგ. ერთჯერ 10 წლის განმავლობაში)
3	შესაძლებელია	მოვლენა შესაძლოა მოხდეს (მაგ: ერთჯერ 5 წლის განმავლობაში)
4	მოსალოდნელია	მოვლენის მოხდენის ალბათობა მეტია (მაგ: ერთჯერ წლის განმავლობაში)
5	უეჭველია/გარდაუვალია	მოვლენა ნებისმიერ შემთხვევაში გარდაუვალია



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

რისკების მართვის პროცედურა

Risk Management Guide

7.2 რისკის გავლენის გაზომვა

რანჟირება	გავლენის საზომი				
	დაზიანება	ფინანსური დანაკარგები	შემოსავლის დაცემა	მომსახურების შეწყვეტა/ შეჩერება	რეპუტაცია და იმიჯი
უმნიშვნელო	არ არის დაზიანება		არ ახდენს გავლენას	< 1/2 დღე	არამატერიალური, მცირე გავლენი მქონე
მცირე	საჭიროებს პირველად დახმარებას		დანაკარგი მცირეა	1/2 - 1 დღე	დასაბუთებული, მცირე გავლენის მქონე
სერიოზული	საჭიროებს სამედიცინო ჩარევას		დანაკარგი დიდია	1 დღე - 1 კვირა	დასაბუთებული, გავლენის საშუალო დონის მქონე
მნიშვნელოვანი	შედეგი ფატალურია ან დაზიანებები მნიშვნელოვანი ხასიათისაა		დანაკარგი მნიშვნელოვანია	1 კვირა - 1 თვე	დასაბუთებული, გავლენის მაღალი დონის მქონე
კატასტროფული	ხშირია ფატალური შედეგები და ადგილი აქვს სრული შრომისუნარობის შემთხვევებს		სრული ბანკროტი	> 1 თვე	დასაბუთებული, გავლენის მაღალი დონის მრავალი მქონე

7.4 გავლენა / შედეგი: გავლენა (მაგ., თანდომდევრულად წარმოქმნილი მოვლენის სიმკაცრე / სირთულე) გამოითვლება სკალით 1-5. როცა მოვლენა იწვევს მრავალმხრივ გავლენას, უნდა შეირჩეს ყველაზე მკაცრი, რომელიც დათარიღდება ყველაზე მაღელი რიცხვით.

8. რისკების შეფასების ანგარიშგება / გაფორმება


- ✓ მიზანი: რისკების შეფასება და კლასიფიცირება ტიპების მიხედვით;
- ✓ ამოცანა: რისკების ტიპების იდენტიფიცირება, მათი გავლენის და ალბათობის განსაზღვრა. საიდენტიფიკაციო ჩარტების შემუშავება პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით;
- ✓ რისკების შეფასების ანგარიშგებითი დოკუმენტაცია (გეგმის ნიმუში იხ. დანართი 1, დანართი 2)

9. რისკის დონის განსაზღვრა

რისკების შეფასების პროცესის დასრულების შემდეგ უნდა გამოიყოს რისკების პრიორიტეტული ტიპი.

10. მნიშვნელოვანი რისკების დოკუმენტირება/ანგარიშგება

მიზანი: რისკების ჩამოყალიბება პრიორიტეტების შესაბამისად (მაღალიდან -დაბალისაკენ);



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

რისკების მართვის პროცედურა

Risk Management Guide

ამოცანა: მაღალი რისკების შემცველი მოვლენების იდენტიფიცირება, პრიორიტეტების ჩამოყალიბება რისკების შემცირებისათვის;
რისკების შეფასების განხილვის შემდეგ, უნდა გამოიყოს სასწავლებლის მნიშვნელოვანი ტიპის რისკები და მოხდეს მათი რაჟირება (პირველი ნომრით აღინიშნება მაღალი რისკის მქონე მოვლენები)


პრიორიტეტები (1= უმაღლესი)	რისკი	რისკის დონე (გავლენა X აღზატობა)	შენიშვნა
1	ხანძარი	25	ღამის პერიოდში და შაბათ-კვირის განმავლობაში ბოილერზე გაჩენილმა ხანძარმა შეიძლება იქონიოს სერიოზული გავლენა შენობის მდგომარეობაზე
2	სარდაფის დატბორვა	15	შენობა მდებარეობს წყალდიდობის ზონაში. დიდი წვიმების პერიოდში იტბორება შენობის სარდაფი, რაც ზიანს აყენებს მასში განთავსებულ ელექტრულ მოწყობილობებს.

11. რისკის შემცირება

11.1 შიდა და პოტენციური კონტროლი

რისკების შემცირების ფაზა გულისხმობს ქვემოთ ჩამოთვლილ საკონტროლო ღონისძიებებს:

- 1) პოლიტიკა და პროცედურები
პოლიტიკაში გაწერილია დადგენილი წესები, რომელიც ითვალისწინებს რისკების შემცირებას.
- 2) სტუდენტების, პერსონალის (აკადემიური, ადმინისტრაციული) ინფორმირება და გათვინობიერება.
მეთოდების ჩამოყალიბება, რომლებიც ხელს უწყობს დასაქმებულების წრთვნას
- 3) ოპერირების კონტროლი (საინჟინრო და ადმინისტრაციული კონტროლი).
ოპერირების კონტროლი გულისხმობს ორგანიზაციაში ჩამოყალიბებულ მექანიზმებს, რომელიც ხელს უწყობს პოლიტიკის და პროცედურების შესრულებას. ოპერატიული კონტროლი თავის თავად შეიცავს საინჟინრო და ადმინისტრაციულ კონტროლს. საინჟინრო კონტროლს მიეკუთვნება კომპიუტერებზე დაცვის (პასწორდების) დაყენება, კარებზე საკეტების დამონტაჟება, რაც ინფორმაციის წვდომას გამორიცხავს უცხო პირებისათვის. ადმინისტრაციულ კონტროლს მიეკუთვნება საქმიანობის მიმდინარეობის შესრულების ზედამხედველობა.
- 4) ზედამხედველობის, მინიტორინგის და შესრულების კონტროლი
აღნიშნული კონტროლი გულისხმობს კონპროლის პროცესის ვერიფიცირებას (დამოწმებას), და შეისავს მონიტორინგს, დოკუმენტაციის ინსპექტირებას და თანამშრომლებთან გასაუბრებას.
- 5) აუდიტი
ფორმალური პროცესია, რომლის ადგენს შესაბამისობას. აუდიტი შეიძლება მოიცავდეს როგორც დოკუმენტაციის კონტროლს ასევე ჟურნალების, ჩანაწერების და პროტოკოლების შემოწმებას.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

რისკების მართვის პროცედურა

Risk Management Guide

12. რისკების კომუნიკაცია და მონიტორინგი


რისკის მართვის პროცესის შემდგომ საფეხურს წარმოადგენს რისკის კომუნიკაცია და მონიტორინგი. სწორი კომუნიკაცია და მონიტორინგი აუცილებელი საშუალებაა შიდა კონტროლის მექანიზმის და რისკების შემცირების გეგმის განხორციელების ტრანსპარანტულობის უზრუნველსაყოფად, რაც საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს და დაიხვეწოს რისკების შემცირების გეგმა.

რისკების კომუნიკაციის და მონიტორინგის გეგმა შეიცავს:

- ინფორმაციას „რისკზე“ პასიხისმგებელ პირის შესახებ, ვინც ვალდებულია გაანალიზოს არსებული ცვლილებები და მიიღოს დროული ზომები რისკების შემცირებისთვის;
- მინიმუმამდე იყოს დაყვანილი რისკების საკონტრო გეგმაში არსებული შეცდომები და მაქსიმალურად იყოს მოცული გავრცელების არეალი;
- რისკი და რისკის კონტროლის მექანიზმები უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე რათა საშუალება მიეცეს მომენტალური რეაგირების

13. უმაღლეს განათლებაში ზოგადად ნაპოვნი რისკები:

რისკის ფართო არე	რისკის მიზეზი	
დამხმარე საწარმოები	<ul style="list-style-type: none"> ✓ ობიექტის არასაკმარისი ტექნიკური მომსახურება ✓ ობიექტის არასათანადო დაცვა ✓ არაჯანსაღი / საფრთხის შემცველი გარემო ✓ გაწვრთნილი პერსონალის ნაკლებობა 	
ფინანსური მართვა	<ul style="list-style-type: none"> ✓ არასათანადო გამოთვლები, არასწორი აღრიცხვა ✓ სტუდენტის უფლებების - კონპიდენციალობის დარღვევა ✓ არასათანადო ფოზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ✓ არასწორი და ვადების დარღვევით შესრულებული ფინანსური ანგარიში 	
ინფორმაციული ტექნოლოგიები	<ul style="list-style-type: none"> ✓ ინფორმაციული ტექნოლოგიები და ბიზნესის მოთხოვნები არა არის ადეკვატურად განხილული ✓ ბაზრის მიერ მოთხოვნილი ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ინიციატივის უგულებელყოფა 	
მატერიალური მხარე	<ul style="list-style-type: none"> ✓ არადროული და არასათანადო რეაგირება ✓ პერსონალის არასაკმარისი წრთვნა ✓ ქონების (შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობის) დაზიანება ✓ მოძველებული ან ქმედიტუნარო აღჭურვილობის გამოყენება 	
სტუდენტების და მსმენელების მომსახურეობა	<ul style="list-style-type: none"> ✓ ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევა ✓ არასათანადო ლიცენზირება და აკრედიტაციის პროცესის ჩავარდნა 	



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი


რისკების მართვის პროცედურა

Risk Management Guide

	<ul style="list-style-type: none">✓ საწვრთნელი ცენტრის ან საწვრთნელი კურსის აღიარების დაკარგვა✓ ჯანმრთელობის მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების სირთულე	
--	---	--

14. კონფიდენციალურობა

არსებული პროცედურა წარმოადგენს შპს ბუსსს ანრის შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის წარდგენას, გარდა აუდიტორებისა შიდა, გარე და ინსპექციური შემოწმების დროს.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

რისკების მართვის პროცედურა

Risk Management Guide

დანართი 1

მფ-02- 182-08-24.07.17

«ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ»
შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო
სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორი

დადგენილება:


საფუძველი: ნდ 2-0201-23 “რისკების მართვის
პროცედურა”

_____ ა.დიასამიძე
_____ 201__ წ.

**რისკების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების გეგმა
Risk assessment and preventive measures plan**

№	რისკის დასახელება Risk	რისკის წარმოშობის შესაძლებლობა/ დონე Risk probability/degree (მაღალი/high, საშუალო/average, დაბალი/low)	რისკის მნიშვნელობა/ დონე Degree of risk value (მაღალი/high, საშუალო/average, დაბალი/low)	რისკის შედეგი Risk outcome	პრევენციული ღონისძიებები Preventive measures	შენიშვნა Note
ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი Quality assurance process						
1						
2						
საგანმანათლებლო პროცესი (უმაღლესი და პროფესიული პროგრამები) Educational process (High and Vocational programs)						
1						
2						
მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების პროცესი Seafarer's training and certification process						
1						
2						
სხვა პროცესები Other processes						
1						
2						

შემუშავებული:
თანამდებობა
სახელი, გვარი, ხელმოწერა




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

რისკების მართვის პროცედურა

Risk Management Guide

დანართი 2

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



მფ-02-№049-08-03.04.19

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო
სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორი

დადგენილება:


საფუძველი:

_____ ა.დიასამიძე
_____ წ.

ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა

შესავალი

1. ბიზნეს უწყვეტობის დაგეგმვა
2. რისკების იდენტიფიცირება
3. რისკების არეალის განსაზღვრა
4. რისკის იდენტიფიკაციის მეთოდები
5. რისკის შეფასება
6. რისკების შემცირება
7. რისკების კომუნიკაცია და მონიტორინგი




**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

რისკების მართვის პროცედურა

Risk Management Guide

16. პერსონალის პროცედურასთან გაცნობის ფურცელი

	სახელი, გავრი	თანამდებობა	გაცნობის ვადა	გაცნობის თარიღი	ხელმოწერა
1	ნუნუ მიქელაძე	სასწავლო განყოფილების საქმისმწარმოებელი	05.04.2019		
2	მზია დუმბაძე	ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ინსპექტორი/არქივარიუსი	15.04.2019		
3	ვლადიმერ ბოგდანოვი	წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი	15.04.2019		
4	ხატია მენაბდე	წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის საქმისმწარმოებელი	15.04.2019		
5	ბადრი დოლონაძე	რექტორის მოადგილე კულტურულ მასობრივ დარგში	15.04.2019		
6	მერაბ კვაჭაძე	შინაგანწესისა და ვახტის უზრუნველყოფის უფროსი	15.04.2019		
7	ჟუჟუნა დიასამიძე	ბიბლიოთეკარი	15.04.2019		
8	მალვინა ურუშაძე	ბიბლიოთეკის გამგე	15.04.2019		
9	ირაკლი გოგიტიძე	სამეურნეო დარგის მენეჯერი	15.04.2019		
10	ილიას ბერიძე	ს/გ „კაპ. ო.ჩახვაძე“ კაპიტნის მოვალეობის შემსრულებელი	15.04.2019		
11	ბადრი გიორგაძე	ს/გ „კაპ. ო.ჩახვაძე“ უფროსი მექანიკოსი	15.04.2019		
12	ირაკლი ბეჟინიძე	IT ოპერატორი	15.04.2019		
13	ლალი ბერძენიშვილი	პიარ-მენეჯერი	15.04.2019		
14	თამთა ჩხეიძე	საქმისწარმოების, მიმოწერის და ადამიანი რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	15.04.2019		
15	სოფიკო მამულაძე	მთ.ბუღალტერი	15.04.2019		
16					
17					
18					
19					
20					
21					
22					
23					
24					



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

რისკების მართვის პროცედურა

Risk Management Guide

17. შეთანხმების ფურცელი

ნაწილი 1. დოკუმენტის იდენტიფიკაცია, შემთანხმებელი პირების დანიშვნა

1.1 შეთანხმებული დოკუმენტის დასახელება, №

რისკების მართვის პროცედურა

Risk Management Guide

ნდ №2-0201-23

1.2 პროცედურის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი:

ხარისხის მართვის სისტემის მენეჯერი რუსუდან დიასამიძე

1.3 შემსრულებელი _____ \ _____ \

ნაწილი 2.

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

	შემთანხმებლის თანამდებობა	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შეთანხმების დრო	შენიშვნა
1	რექტორი რუსლან დიასამიძე				
2	ხმს სპეციალისტი ვლადიმერ ბოგდანოვი				
3	ხმს სპეციალისტი ლია ფარტენაძე				

დოკუმენტი შესათანხმებლად წარადგინა

_____ ხელმოწერა

_____ გვარი, სახელი

_____ თარიღი